



მოხსენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები.....	6
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები.....	7
3. არაფინანსური აქტივების კლება.....	10
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	11
4.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	12
4.2. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები.....	13
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები	16
დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები.....	18
დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები.....	20
დანართი 3. მუნიციპალიტეტების დაბალი ათვისების მქონე პროექტები - მაგალითები	23

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები

მოხსენება მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 120-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება „2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“;
- ბ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები;
- გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებასა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

ზოგადი შეფასება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები - 512,549.4 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 535,549.4 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა. ივლისში, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 560,189.4 ათას ლარამდე (9.3%-ით), გადასახდელების კი 600,589.4 ათას ლარამდე (12.1%-ით) გაიზარდა.

9 თვის მდგომარეობით, რესპუბლიკური ბიუჯეტში მობილიზებულმა შემოსულობებმა 389,149.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 69.5%, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 97.8%-ია. ამ პერიოდში მიღებული საშემოსავლო გადასახადის მობილიზების პროცენტული მაჩვენებელი ძირითადად წინა წლის ანალოგიურია. გრანტების სახით მიღებული შემოსავლების 9 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი წლიური გეგმის 100.0%-ია, ხოლო სხვა შემოსავლების - 77.5%. სხვა შემოსავლების კუთხით საყურადღებოა „რენტის“, „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის“ და „ტრანსფერების, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ კომპონენტები, რომელთა შესრულების მაჩვენებელი წლიური გეგმის, შესაბამისად 122.3%, 128.5% და 161.7%-ია.

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმიდან ჩამორჩენით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები. 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით ამ კომპონენტში მობილიზებულია 17,749.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 22.1%-ია. მნიშვნელოვანია, საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს არსებული რესურსების, ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების ანალიზის საფუძველზე.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს, 2023 წლის 9 თვის ათვისების მაჩვენებელი წლიური გეგმის 53.5%-ს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 77.4%-ს (321,530.1 ათას ლარს) შეადგენს. შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების პირობებში, 2023 წლის 9 თვის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთი 67,618.9 ათასი ლარით გაიზარდა და სექტემბრის ბოლოს 113,325.1 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ფისკალური წლის დარჩენილ პერიოდში ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა, ასევე გადასახდელების გეგმის შეუსრულებლობის გამო ნაშთის მოცულობის გაზრდა.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში, საყურადღებოა, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებსა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობაში. კერძოდ:

- 1) რიგ შემთხვევებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ თანხების მობილიზება ხდება ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე;

-)/ გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსის დაგეგმვას;
-)/ ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 50%-ზე დაბალი ათვისებით ხასიათდება 7 პროგრამა და 16 ქვეპროგრამა.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები



2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები - 512,549.4 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 535,549.4 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა. ივლისში, მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 560,189.4 ათას ლარამდე (9.3%-ით), გადასახდელების კი 600,589.4 ათას ლარამდე (12.1%-ით) გაიზარდა. 9 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსულობებმა 389,149.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 321,530.1 ათასი ლარი შეადგინა.

ცხრილი 1. 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის 9 თვის ფაქტი (I)	2022 წლის 9 თვის ფაქტი (II)	2023 წლის ბიუჯეტის კანონი - საწყისი (III)	2023 წლის ბიუჯეტის კანონი - მოქმედი (IV)	2023 წლის 9 თვის ფაქტი (V)	2023 წლის წლიური გეგმის შესრულება (V)/(IV)
შემოსულობები	206,833.8	314,878.6	512,549.4	560,189.4	389,149.0	69.5%
გადასახდელები	185,826.8	252,290.0	535,549.4	600,589.4	321,530.1	53.5%
ნაშთის ცვლილება	21,007.0	62,588.5	-23,000.0	-40,400.0	67,618.9	-167.4%

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებით წინა ორი წლის მონაცემებს აჭარბებს. კერძოდ, 9 თვეში რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა წლიური გეგმით განსაზღვრული შემოსულობების 69.5% და გადასახდელების 53.5%, ხოლო 9 თვის გეგმით განსაზღვრული შემოსულობების 97.8% და გადასახდელების 77.4%.


დიაგრამა 1. წლიურ გეგმასთან მიმართებით 9 თვის და წლიური შესრულების მაჩვენებლები (%)




შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების პირობებში, 2023 წლის 9 თვის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთი 67,618.9 ათასი ლარით გაიზარდა და სექტემბრის ბოლოს 113,325.1 ათასი ლარი შეადგინა.

ბიუჯეტის ნაშთის ზრდის პარალელურად ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ნაშთის დინამიკა 2023 წლის 9 თვეში ძირითადად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და ამ პერიოდში 38 მლნ ლარიდან 107 მლნ ლარამდე გაიზარდა.

დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა - 2023 წ. (ათასი ლარი).



დიაგრამა 3. კომერციულ ბანკში განთავსებული ნაშთის მოცულობა - 2023 წ. (მლნ ლარი).




2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 432,133.7 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 44,742.5 ათასი ლარით (11.5%-ით) აღემატება 2022 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს. 2023 წლის ივლისში, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, შემოსავლების წლიური გეგმა 47,640.0 ათასი ლარით (11.0%-ით) გაიზარდა, რაც საშემოსავლო გადასახადის გეგმური მაჩვენებლის 40,000.0 ათასი ლარით (9.5%-ით) და სხვა შემოსავლების - 7,722.7 ათასი ლარით (65.7%-ით) ზრდით არის გამოწვეული.

ცხრილი 2. შემოსავლების 2023 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

შემოსავლების კომპონენტები	2023 წლის ბიუჯეტის კანონი - საწყისი (I)	2023 წლის ბიუჯეტის კანონი - მოქმედი (II)	2023 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა (III)	2023 წლის 9 თვის ფაქტი (IV)	წლიური გეგმის შესრულება (IV)/(II)	9 თვის შესრულება (IV)/(III)
გადასახადები	420,000.0	460,000.0	330,000.0	356,014.9	77.4%	107.9%
გრანტები	371.4	288.7	288.7	288.7	100.0%	100.0%
სხვა შემოსავლები	11,762.3	19,485.0	13,363.4	15,096.1	77.5%	113.0%
შემოსავლები	432,133.7	479,773.7	343,652.1	371,399.6	77.4%	108.1%

დიაგრამა 4. რესპუბლიკური ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების მონაცემები 9 თვის მდგომარეობით (ათასი ლარი)



2023 წლის 9 თვის მდგომარეობით მიღებულმა შემოსავლებმა 371,399.6 ათასი ლარი და წლიური გეგმის 77.4% შეადგინა (2022 წლის ანალოგიური მაჩვენებელია 77.6%). მათ შორის, საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულ იქნა 356,014.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 77.4%-ია.

2023 წლის 9 თვეში მობილიზებული საშემოსავლო გადასახადის პროცენტული მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებით წინა წლის ანალოგიურია. აღნიშნულისა და საშემოსავლო გადასახადის სახით ბოლო 6 თვეში მობილიზებული შემოსავლების დინამიკის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ გადასახადების ფაქტობრივი მოცულობა წლის ბოლოს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს გეგმას.

გრანტების სახით მობილიზებული შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებელი წლიური გეგმის 100%-ს შეადგენს. გრანტებით, გაეროს ბავშვთა ფონდთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, დაფინანსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამა – „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“.

რაც შეეხება **სხვა შემოსავლების** შესრულებას, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით „სხვა შემოსავლების“ წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი – 19,485.0 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის მაჩვენებელი 13,363.4 ათასი ლარით განისაზღვრა. 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით „სხვა შემოსავლების“ მუხლით მობილიზებულია 15,096.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის – 77.5%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 113.0%-ს შეადგენს.

ცხრილი 3. რესპუბლიკური ბიუჯეტის „სხვა შემოსავლების“ 2023 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლების კომპონენტები	2023 წლის გეგმა (I)	2023 წლის 9 თვის გეგმა (II)	2023 წლის 9 თვის ფაქტი (III)	წლიური გეგმის შესრულება (III)/(I)	9 თვის გეგმის შესრულება (III)/(II)
შემოსავლები საკუთრებიდან	15,921.4	10,987.8	9,640.5	60.6%	87.7%
პროცენტები	13,292.7	9,546.4	7,893.1	59.4%	82.7%
დივიდენდები	1,700.0	611.7	611.7	36.0%	100.0%
რენტა	928.7	829.8	1,135.8	122.3%	136.9%
საკონლისა და მომსახურების რეალიზაცია	463.6	300.6	595.8	128.5%	198.2%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	100.0	75.0	8.6	8.6%	11.4%
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	3,000.0	2,000.0	4,851.2	161.7%	242.6%
სულ სხვა შემოსავლები:	19,485.0	13,363.4	15,096.1	77.5%	113.0%

პროცენტების სახით 2023 წლის 9 თვეში მობილიზებულ იქნა 7,893.1 ათასი ლარის შემოსავალი, რაც წლიური გეგმის 59.4%-ია, ხოლო 9 თვის გეგმის – 82.7%. ფისკალური წლის დასასრულს გადასახდელების მოცულობის ზრდისა და წინა წლების ტენდენციის¹ გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ საპროცენტო შემოსავლების ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებელი არ შესრულდეს.


დივიდენდების სახით 2023 წლის 9 თვეში მობილიზებულ იქნა 611.7 ათასი ლარის შემოსავალი, რაც წლიური გეგმის 36.0%-ია, ხოლო 9 თვის გეგმის – 100%. აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 40 საწარმოდან,² 2023 წლის 9 თვეში დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს.³ აღნიშნული საწარმოები წინა წლებშიც დივიდენდის საბიუჯეტო გეგმის შესრულებაში ძირითად როლს ასრულებდნენ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ადრე გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება საწარმოებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, რაც განაპირობებს საწარმოების არასასურველ ფინანსურ შედეგებს.

¹ პროცენტების სახით 2021 წლის ცხრა თვეში მობილიზებულ იქნა 2,723.7 ათასი ლარის შემოსავალი, რაც შეადგენდა წლიური გეგმის 54.5%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის – 87.9%-ს, 2022 წლის 9 თვეში – 3,388.9 ათასი ლარის შემოსავალი, რაც შეადგენდა წლიური გეგმის 48.4%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის – 70.6%-ს.

² მოწოდებული ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ 7 საწარმოში მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება, ხოლო 4 საწარმო გადაცემულია მართვის უფლებით.

³ შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ – 550.0 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ – 45.0 ათასი ლარი, შპს „აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი“ – 16.7 ათასი ლარი.

დიაგრამა 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის დივიდენდების სახით შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები 2018-2023 წლებში (ათასი ლარი)




2023 წლის 9 თვეში „რენტას“ წლიური გეგმა შესრულებულია 122.3%-ით, „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის“ წლიური გეგმა - 128.5%-ით, ხოლო „ტრანსფერების, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ წლიური გეგმა - 161.7%-ით. ბიუჯეტის წლიური გეგმის 9 თვეში გადაჭარბებით შესრულება „სხვა შემოსავლების“ კომპონენტების პესიმისტური პროგნოზით დაგეგმვაზე მიუთითებს.

3. არაფინანსური აქტივების კლება

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით, არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი 80,415.7 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 45,836.9 ათასი ლარით (132.6%-ით) აღემატება 2022 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს.

დიაგრამა 6. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები 2018-2023 წლებში (ათასი ლარი)



2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მოზილიზებულია 17,749.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 22.1%-ს შეადგენს, 9 თვის დაზუსტებული გეგმის - 32.7%-ს. მთავრობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებული აუქციონები, მათ შორის რიგ ქონებაზე არაერთგზის, არ შედგა, რის გამოც საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა რიგი ქონების პრივატიზება.

„არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლის დაგეგმვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე. მოსალოდნელია, რომ წლის ბოლოს არაფინანსური აქტივების კლების ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებელი არ შესრულდეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით მნიშვნელოვანია, არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს არსებული რესურსების, ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების ანალიზის საფუძველზე.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები


2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტობრივმა ოდენობამ 321,530.1 ათასი ლარი შეადგინა და კანონით განსაზღვრული გეგმის 53.5%-ს გაუტოლდა. 2020-2022 წლების ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 63.0%,⁴ 44.9% და 52.3%-ია.

ცხრილი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები (ათასი ლარი)

გადასახდელების კომპონენტები	2022 წლის 9 თვის ფაქტი (I)	2023 წლის გეგმა (II)	2023 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა (III)	2023 წლის 9 თვის ფაქტი (IV)	წლიური გეგმის შესრულება (IV)/(II)	9 თვის გეგმის შესრულება (IV)/(III)
ხარჯები	207,717.6	446,493.5	312,070.9	259,280.5	58.1%	83.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	42,226.8	144,685.6	101,169.8	60,209.5	41.6%	59.5%
ვალდებულებების კლება	2,345.6	9,410.2	2,390.1	2,040.1	21.7%	85.4%
გადასახდელები:	252,290.0	600,589.4	415,630.9	321,530.1	53.5%	77.4%

⁴ 2020 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაკავშირებულია 2020 წლის 23 დეკემბერს რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებთან, რომლითაც გადასახდელების გეგმა 338,474.6 ათასი ლარიდან შემცირდა 304,756.8 ათას ლარამდე.

დიაგრამა 7. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების და მისი ცალკეული კომპონენტების 9 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით - 2020-2023 წლები (%)



არსებითია გადასახდელების შესრულების ჩამორჩენა 2023 წლის 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებითაც (77.4%). 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით გაწეული გადასახდელების საშუალო თვიური ათვისების მაჩვენებელი 35.7 მლნ ლარია, 2023 წლის 10 თვის მდგომარეობით - 24.8 მლნ ლარი. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების წლიური გეგმა (600.6 მლნ ლარი) შესრულდება, წლის ბოლო ორი თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებელი 124.0 მლნ ლარს გაუტოლდება, რაც ფისკალური წლის პირველი ათი თვის ფაქტობრივი გადასახდელების საშუალო მაჩვენებელს 5-ჯერ აღემატება.

გადასახდელების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ფისკალური წლის დარჩენილ პერიოდში ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა.

4.1. საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ხშირი ცვლილებებისა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობაში.

▮ ბიუჯეტის დაგეგმვა/დაზუსტება

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ხორციელდება რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილება. აღნიშნული წარმოშობს ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დეფიციტისა და დასახული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ რისკებს (*დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში*). კერძოდ: რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში რესურსების მობილიზება ხდება ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება. ასევე ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, პროგრამების/ ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით რესურსი იგეგმება.

▮ ბიუჯეტის შესრულება

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების ათვისების საშუალო მაჩვენებელმა 9 თვის მდგომარეობით წლიური გეგმის 56.8%, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 76.5% შეადგინა.⁵ 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 50%-ზე დაბალი ათვისებით ხასიათდება 7 პროგრამა და 16 ქვეპროგრამა (*დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში*). საყურადღებოა, რომ პროგრამების/ქვეპროგრამების ნაწილი გასულ წელსაც დაბალი ათვისებით ხასიათდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების შეფერხებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მნიშვნელოვანია, განმახორციელებელი ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება მიექცეს პროექტების მართვის პროცესში პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორების დროულ იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას, მათთვის ასიგნების ოპტიმალურად განსაზღვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს გამოთავისუფლებული საბიუჯეტო რესურსის გამოყენებით ახალი პროექტების განხორციელებას.

4.2. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

2023 წლის 9 თვეში „ხარჯების“ საკასო შესრულება 52,790.4 ათასი ლარით ჩამორჩება საანგარიშგებო პერიოდის გეგმურ მაჩვენებელს. ხარჯების ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად დაკავშირებულია „საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებთან,“ სადაც აუთვისებელი დარჩა 34,465.2 ათასი ლარი, მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებიდან აუთვისებელი დარჩა 15,557.6 ათასი ლარი.

⁵ მაჩვენებელი არ მოიცავს საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელებს.

ცხრილი 5. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის გეგმა (I)	2023 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა (II)	2023 წლის 9 თვის ფაქტი (III)	წლიური გეგმის შესრულება (III)/(I)	9 თვის გეგმის შესრულება (III)/(II)
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	124,325.6	78,458.1	69,536.4	55.9%	88.6%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	88,309.6	56,148.3	49,512.4	56.1%	88.2%
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება	32,266.8	23,065.6	5,554.8	17.2%	24.1%
საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში	31.0	31.0	9.6	31.1%	31.1%
სარეზერვო ფონდი	2,989.8	989.8	-	0%	0%
სესხების მომსახურების ხარჯები	928.6	447.9	442.3	47.6%	98.8%
უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება	9,410.2	2,390.1	2,040.1	21.7%	85.4%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემების ფინანსური უზრუნველყოფა	48.0	36.0	6.0	12.5%	17%
ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივი განსაზღვრა და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობა	21.6	21.6	21.6	100%	100%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	258,331.2	161,588.5	127,123.3	49.2%	78.7%

მოპოვებული ინფორმაციით, რიგ შემთხვევებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ საჯარო ფინანსების მართვის ხარვეზები იწვევს ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეუსრულებლობას/დაგვიანებით შესრულებას და ქმნის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების აუთვისებლობის პრობლემას. ბოლო წლების ტენდენციის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ წლის ბოლოს ბიუჯეტის აუთვისებლობის მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდოს (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 3-ში).

ცხრილი 6. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარება (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის გეგმა (I)	2023 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა (II)	2023 წლის 9 თვის ფაქტი (III)	წლიური გეგმის შესრულება (III)/ (I)	9 თვის გეგმის შესრულება (III)/(II)
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	124,325.6	78,458.1	69,536.4	55.9%	88.6%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	66,510.0	43,538.7	43,128.3	64.8%	99.1%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	17,483.0	12,834.0	8,533.8	48.8%	66.5%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	15,297.0	8,187.0	6,764.1	44.2%	82.6%
ქედის მუნიციპალიტეტი	6,850.0	4,235.0	3,859.5	56.3%	91.1%
შუახევის მუნიციპალიტეტი	8,392.0	3,892.0	3,892.0	46.4%	100.0%
ხულოს მუნიციპალიტეტი	9,793.6	5,771.5	3,358.8	34.3%	58.2%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	88,309.6	56,148.3	49,512.4	56.1%	88.2%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	69,667.2	42,312.3	38,400.5	55.1%	90.8%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	8,843.5	6,590.5	4,850.0	54.8%	73.6%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2,926.9	2,279.9	1,808.4	61.8%	79.3%
ქედის მუნიციპალიტეტი	1,408.3	1,328.3	1,312.1	93.2%	98.8%
შუახევის მუნიციპალიტეტი	2,426.2	1,418.2	1,122.3	46.3%	79.1%
ხულოს მუნიციპალიტეტი	3,037.5	2,219.0	2,019.2	66.5%	91.0%

„საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების“ ათვისების დაბალი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებასთან, სადაც გადახრა წლიურ გეგმასთან მიმართებით შეადგენს 26,712.0 ათას ლარს, ხოლო 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან - 17,510.8 ათას ლარს. მათ შორის, ძირითადი წილი მოდის შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიაზე,“ სადაც 2023 წლის 9 თვის გეგმიდან აუთვისებელია 15,251.4 ათასი ლარი. მოწოდებული ინფორმაციით, აუთვისებლობა ძირითადად დაკავშირებულია მიმწოდებელი კომპანიის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების დაგვიანებით შესრულებასთან.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხების მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 2,482.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 24.0%-ს შეადგენს.

ცხრილი 7. რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები – 2023 წლის 9 თვე (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის გეგმა (I)	2023 წლის 9 თვის გეგმა (II)	2023 წლის 9 თვის ფაქტი (III)	წლიური გეგმის შესრულება (III)/(I)	9 თვის გეგმის შესრულება (III)/(II)
კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KfW) მიღებული სესხი	8,555.6	1,054.8	943.6	11.0%	89.5%
ვალდებულების კლება	7,757.0	736.9	626.4	8.1%	85.0%
პროცენტი	798.6	317.9	317.2	39.7%	99.8%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი	1,783.3	1,783.3	1,538.8	86.3%	86.3%
ვალდებულების კლება	1,653.3	1,653.3	1,413.6	85.5%	85.5%
პროცენტი	130.0	130.0	125.2	96.3%	96.3%
ჯამი	10,338.9	2,838.1	2,482.4	24.0%	87.5%

ცხრილი 8. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები – 2023 წლის 9 თვე (ლარი, ევრო)

სესხის დასახელება	გამოყოფილი სესხები	ათვისებულია 01/10/2023	გადახდილია 2023 წლის 9 თვეში		
			ძირითადი	პროცენტი	აუთვისებლობისათვის დარიცხული პროცენტი
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხი (აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი)	3,000,000 EUR	3,000,000 EUR	506,927 EUR	44,837 EUR	-
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი (კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია)	6,700,000 EUR	6,700,000 EUR	223,300 EUR	26,619 EUR	-
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერით და ევროკავშირის თანადაფინანსებით მიღებული სესხი (აჭარის სოფლების წყალმომარაგება)	40,000,000 EUR	3,238,197 EUR	-	42,340 EUR	46,014 EUR
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი ("აჭარის მყარი ნარჩენების მართვა" - ფაზა II)	19,000,000 EUR	345,556 EUR			
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (კანადურ კომპანიასთან გაფორმებული მორიგების ხელშეკრულება)	20,000,000 ლ	20,000,000 ლ	-	-	-
ჯამი:	68,700,000 EUR	13,283,753 EUR	730,227 EUR	113,795EUR	46,014 EUR
	20,000,000 ლ	20,000,000 ლ			

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მიერ აღებული სესხების მოცულობა 215,259,140 ლარს შეადგენდა,⁶ საიდანაც ათვისებულია 57,755,083 ლარი, ანუ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხის 26.8%. საკრედიტო რესურსი ვერ იქნა ათვისებული აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალანირების პროგრამისათვის გამოყოფილი სესხის ფარგლებში. კერძოდ, საანგარიშო პერიოდისათვის 40 მლნ ევროს მოცულობის სესხიდან ათვისებულია 3.2 მლნ ევრო. საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, ყოველწლიურად სესხის ათვისებელ ნაწილზე ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, ათვისებელი თანხის 0.5%-ის ოდენობით. მოწოდებული ინფორმაციით, სესხის ათვისებლობის მიზეზია შესყიდვის განსახორციელებლად გამოცხადებული ტენდერის ორჯერ წარუმატებლად დასრულება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია მაკონტროლებელმა უწყებებმა სათანადო მონიტორინგის საშუალებით უზრუნველყონ პროექტის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებების დროული გამოვლენა, ნაკლოვანებებზე სათანადო რეაგირება და მოზიდული ფინანსური რესურსის ეფექტიანი გამოყენება.

⁶ 1 EUR = 2.8422 ლარი (ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი 01/10/2023).

დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება - მაგალითები

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის შესახებ მაჩვენებლები – 2023 წლის 9 თვე (ათასი ლარი)⁷

ორგ. კოდი	მხარჯავი დაწესებულების დასახელება	ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის რაოდენობა	თანხა
01 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	1	128.9
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	-	-
04 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	24	8,031.8
05 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	27	1,725.5
06 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	6	719.8
07 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	9	701.2
ჯამი:		67	11,307

1. ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში იგეგმება ჭარბი ოდენობით რესურსი.

-) შემცირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქვეპროგრამის „აჭარის ტერიტორიზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება“ (04 01 03 03) 2023 წლის ბიუჯეტის ღირებულება 3,461.6 ათასი ლარით და გაიზარდა „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ (04 14 02 05) ქვეპროგრამის 2023 წლის ბიუჯეტის ღირებულება 3,461.6 ათასი ლარით.
-) შემცირდა ქვეპროგრამის „აჭარის ტერიტორიზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება“ (04 01 03 03) 2023 წლის ბიუჯეტი 900.5 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდა ქვეპროგრამის „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა“ (04 01 03 04) 2023 წლის ბიუჯეტის ღირებულება 900.5 ათასი ლარით.
-) „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ პროგრამის „გზების რეაბილიტაცია“ (04 14 02 01) ქვეპროგრამის „ქობულეთის მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია“

⁷ არ მოიცავს დროებითი შრომისუნარობისა და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შევსებულების ანაზღაურების მიზნით „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან „სოციალურ უზრუნველყოფის“ მუხლში გადატანილ თანხებს.

დონისძიება შემცირდა 811.1 ათასი ლარით, ხოლო სანაცვლოდ იგივე თანხით გაიზარდა „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ ქვეპროგრამის (04 14 02 05) ღირებულება. შედეგად, „გზების რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ღირებულება ნაცვლად 29,575.8 ათასი ლარისა, განისაზღვრა 28,764.8 ათასი ლარით, ხოლო „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ ქვეპროგრამის ღირებულება ნაცვლად 22,708.7 ათასი ლარისა - 23,519.8 ათასი ლარით.

) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის პროგრამის“ (04 01 04) 2023 წლის ბიუჯეტიდან 323.3 ათასი ლარის გადატანა მოხდა „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა“ (04 01 03 04) ქვეპროგრამის 2023 წლის ბიუჯეტში.

) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ -აგროსერვის ცენტრის პროგრამის „სამელიორაციო სისტემების მართვა“ (07 13) ბიუჯეტი გაიზარდა 307.0 ათასი ლარით და პროგრამის „აგროსერვისის განვითარება რეგიონში“(07 07) ქვეპროგრამის „ა(ა)იპ-აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვა“ (07 07 01) ბიუჯეტი შემცირდა 45.7 ათასი ლარით, ქვეპროგრამის „აგრომომსახურების განვითარების ხელშეწყობა“ (07 07 13) ბიუჯეტი შემცირდა 190.0 ათასი ლარით, ქვეპროგრამის „ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება“ (07 07 14) ბიუჯეტი შემცირდა 71.3 ათასი ლარით. ასევე პროგრამის „სამელიორაციო სისტემების მართვა“ (07 13) საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდა 125.0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდა 125.0 ათასი ლარით.

დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები - მაგალითები

2023 წლის 9 თვის გეგმასთან მიმართებით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები - 2023 წ. (ათასი ლარი; %)

კოდი	დასახელება	წლიური გეგმა (I)	9 თვის გეგმა ნაზარდი ჯამით (II)	9 თვის შესრულება (III)	წლიური გეგმის შესრულება (III)/(I)	9 თვის გეგმის შესრულება (III)/(II)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო						
04 01 02	რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	490.2	393.8	186.3	38.0%	47.3%
04 01 02 02	რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი	336.4	281.0	90.8	27.0%	32.3%
04 01 03	ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა	7,819.8	4,653.1	972.3	12.4%	20.9%
04 01 03 03	აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება	2,917.1	975.3	-	0%	0%
04 01 03 04	ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	4,740.3	3,587.8	883.2	18.6%	24.6%
04 01 06	საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	4,500.0	4,500.0	701.1	15.6%	15.6%
04 01 06 01	აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება	4,500.0	4,500.0	701.1	15.6%	15.6%
04 06	საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა	1,296.8	791.1	373.3	28.8%	47.2%
04 09	ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის	500.0	500.0	-	0%	0%
04 13 02 02	რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით	870.0	522.0	247.5	28.4%	47.4%
04 13 02 03	რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება	840.0	384.0	143.0	17.0%	37.2%
04 13 03 05	ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა	922.8	290.0	137.2	14.9%	47.3%
04 14 02 01	გზების რეაბილიტაცია	30,618.4	24,184.0	9,966.5	32.6%	41.2%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო						
05 08 01	ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის	357.0	278.0	113.0	31.6%	40.6%

05 10 03	ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა	60.0	20.5	4.5	7.5%	22.0%
05 10 05	უცხოეთში სტაჟირება	90.8	63.1	28.6	31.5%	45.3%
05 14 08	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	365.0	195.0	86.9	23.8%	44.6%
05 14 10 02	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	4,602.1	3,012.1	1,154.6	25.1%	38.3%
05 18 03 02	მოხალისეობა	79.2	65.9	30.6	38.6%	46.4%
05 18 04 02	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	163.4	115.1	56.4	34.5%	49.0%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო						
06 10 02	საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა	75.0	25.0	-	0%	0%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო						
07 07 11	მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა	320.6	280.4	121.0	37.7%	43.1%
07 13	სამელიორაციო სისტემების მართვა	1,393.8	1,207.5	344.8	24.7%	28.6%

2. გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან წლიურ და 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით

- 1) ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქვეპროგრამის „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა“ (04 01 03 04) ფარგლებში ათვისებულია 883.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 19%-ს, ხოლო კვარტალური დაზუსტებული გეგმის 18.6% შეადგენს. საყურადღებოა, რომ წინა წლების მსგავსად, აღნიშნული პროგრამა დაბალი ათვისებით ხასიათდება. სამინისტროს განმარტებით, გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ მიმწოდებელმა კომპანიამ ვერ უზრუნველყო სამშენებლო სამუშაოების შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, რის გამოც შეწყდა ხელშეკრულება. გარდა ამისა, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით (NAT230012804).
- 2) ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქვეპროგრამაზე „აჭარის მაღალმთიანი რეგიონების გაზიფიცირება“ (04 01 06 01) ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა და 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 4,500.0 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის საკასო შესრულებამ 701.1 ათასი ლარი (წლიური გეგმის 15.6%) შეადგინა. სამინისტროს განმარტებით, გაზსადენის მშენებლობის შეფერხება დაკავშირებულია ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან, რადგან გაზსადენის კონტური გასდევს საავტომობილო გზის კონტურს. გზის რეკონსტრუქციის პროფილის ჩამოყალიბება ეტაპობრივად მიმდინარეობს და შესაბამისად

ხორციელდება გაზსადენის სამონტაჟო სამუშაოები. საყურადღებოა, რომ ანალოგიური მიზეზით აღნიშნული ქვეპროგრამის ათვისების მაჩვენებელი დაბალი იყო გასულ წლებშიც.

-) განათლების სამინისტროს ქვეპროგრამის „კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარების ფარგლებში“ (05 14 10 02) 9 თვის მდგომარეობით ათვისებულია 1,154.6 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული გეგმის 25.1%-ს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 38.3%-ს შეადგენს. სამინისტროს განმარტებით დაბალი ათვისება გამოწვეულია დაგეგმილი ღონისძიებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობით.
-) სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამაზე „მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა“ (07 07 11) ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 320.6 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 280.4 ათასი ლარი, ხოლო ამ პერიოდის საკასო შესრულებამ 121.0 ათასი ლარი (წლიური გეგმის 37.7%) შეადგინა. სამინისტროს განმარტებით, ღონისძიების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო შეწყდა. გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი, თუმცა აღნიშნულმა დროის პერიოდმა გავლენა იქონია ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებული თანხების ათვისებაზე.

დანართი 3. მუნიციპალიტეტების დაბალი ათვისების მქონე პროექტები - მაგალითები

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ წლიურ და 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროექტი - 2023 წ. (ლარი; %).

დასახელება	2023 წელს გეგმა	2023 წლის 9 თვის გეგმა	2023 წლის 9 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულება	წლიური გეგმის შესრულება
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი					
ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია	20,500,500.0	16,025,500.0	12,789,888.0	79.8%	62.4%
მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი	5,000,000.0	3,263,500.0	2,824,149.0	86.5%	56.5%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი					
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა	2,765,029.0	2,623,417.0	1,642,528.0	62.6%	59.4%
ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები	3,645,000.0	2,850,000.0	1,580,006.0	55.4%	43.3%
ქალაქ ქობულეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია	1,300,000.0	550,000.0	-	0%	0%
ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა	647,000.0	265,288.0	-	0%	0%
ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში საბავშვო ბაღის მშენებლობა	627,165.0	280,165.0	-	0%	0%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი					
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	2,899,089.0	2,107,745.0	1,462,071.0	69.4%	50.4%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა	483,111	483,111	96,368	19.9%	19.9%
ხულოს მუნიციპალიტეტი					
შიდა სასოფლო გზების პრობლემატური მონაკვეთების მოსაწყობად მზა ბეტონის შესყიდვა	1,331,356.0	1,272,469.0	435,069.0	34.2%	32.7%
ფერდსამაგრი სამუშაოები	992,145.0	729,699.0	474,840.0	65.1%	47.9%
ხიხაძირის ცენტრის კეთილმოწყობა	269,997.0	180,000.0	-	0%	0%
ქედის მუნიციპალიტეტი					
დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში ორცვასა და არსენაულში სასმელი წყლის სისტემების (შიგა გამანაწილებელი ქსელის, სანიტარული დაცვის ღობის) რეაბილიტაცია	714,500.0	639,000.0	458,024.0	71.7%	64.1%
ქედის მუნიციპალიტეტის ცენტრში, ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკში ხანდაზმულთათვის განკუთვნილი დასასვენებელი სივრცის მოწყობა	230,000.0	130,000.0	105,598.0	81.2%	45.9%

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გარკვეული პროექტები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან წლიურ და 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით

- ქალაქ ბათუმში, ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 20,500.0 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 16,025.5 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 12,789.8 ათასი ლარი (წლიური გეგმის 62.4%) შეადგინა. მერიის განმარტებით, აუთვისებლობის ძირითადი მიზეზია საპროექტო დოკუმენტაციაში შიდა გეგმარების ნაწილის ცვლილება, რის გამოც შეჩერებულ იქნა სამუშაოები. ამასთანავე, დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ მოქალაქეებთან. შესაბამისად, მოლაპარაკებების დასრულებამდე ვერ იწყება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.
- ქალაქ ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №3ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 5,000.0 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 3,263.5 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 2,824.1 ათასი ლარი (წლიური გეგმის 56.5%) შეადგინა. მერიის განმარტებით, მიმწოდებლის მიერ არ არის წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 3,645.0 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 2,850.0 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 1,580.0 ათასი ლარი (წლიური გეგმის 43.3%) შეადგინა. მერიის განმარტებით, აუთვისებლობის ძირითადი მიზეზია სამუშაოს დაგვიანებით შესრულება.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 2,765.02 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 2,623.4 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 1,642.5 ათასი ლარი (წლიური გეგმის 59.4%) შეადგინა. მერიის განმარტებით, აუთვისებლობის ძირითადი მიზეზია სამუშაოს დაგვიანებით შესრულება.
- ქალაქ ქობულეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 1,300.0 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 550.0 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივი ხარჯი არ გაწეულა. მერიის განმარტებით, აუთვისებლობის ძირითადი მიზეზია სამუშაოების დაგვიანებით შესრულება.
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 2,899.0 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 2,107.7 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 1,462.0 ათასი ლარი (წლიური გეგმის 50,4%) შეადგინა. მერიის განმარტებით, ახალი პროექტები ბიუჯეტში დამტკიცდა აგვისტოს თვეში, შესაბამისად 9 თვეში შესრულება ვერ განხორციელდა.
- ხულოს მუნიციპალიტეტში შიდა სასოფლო გზების პრობლემატური მონაკვეთების მოსაწყობად მზა ბეტონის შესყიდვა** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 1,331.4 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 1,272.4 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 435.1 ათასი ლარი (წლიური გეგმის 32.7%) შეადგინა. მერიის განმარტებით, ახალი პროექტები ბიუჯეტში დამტკიცდა აგვისტოს თვეში, შესაბამისად 9 თვეში შესრულება ვერ განხორციელდა.
- ხულოს მუნიციპალიტეტში ფერდსამაგრი სამუშაოები** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 992.2 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 729.7 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 474.8 ათასი ლარი (წლიური გეგმის 47.9%) შეადგინა. მერიის განმარტებით,

შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვა ვერ განხორციელდა - არ შედგა ტენდერი.

) ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 714.5 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 639.0 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 458.0 ათასი ლარი (წლიური გეგმის 64.1%) შეადგინა. მერიის განმარტებით, სამუშაოებში პროექტით გათვალისწინებულ ბენეფიციართა რაოდენობის ზრდის გამო, შეიცვალა სამუშაოების მიწოდების გეგმა-გრაფიკი.